საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

Номер: 0301/124/18

Дата: 01/03/2018

მოქ. კობა ჭუმბურიძეს

მის. ე. ხარაძის #14

23.02.2018 წლის #0223/219/18 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მისამართზე (ს.კ.01.11.12.019.186) მიწის ნაკვეთს კვეთს სს ,,თელასის" კუთვნილი 110კვ-ის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი ,,კენისი1", საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის მიმდებარედ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1. ნაკრძალებში, დასახლებათა გამწვანების ზონაში, პარკებში, საავტომობილო გზისა და რკინიგზის გასწვრივ ქარსაცავ ზოლში -ჰორიზონტალური მანძილით საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მაქსიმალურად გადახრილი განაპირა სადენებიდან ხეების ვარჯამდე, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება., მუხლი 3, პუნქტი ა.გ ქვეპუნქტი ა.გ.გ.).

2. მანძილი სეგხ–ის განაპირა სადენებიდან ორივე მხარეს მაქსიმალური გადახრის შემთხვევაში საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობის უკიდურესად გამოშვერილ ნაწილამდე არ უნდა იყოს 4 მეტრზე ნაკლები. მშენებლობის დროს გათვალისწინებული იქნას მათი აშენება უწვადი მასალების გამოყენებით (ელ.დანადგართა მოწყობის წესების (ПУЭ პ. 2.5.115).

3. აკრძალულია გხ გატარება შენობებზე და ნაგებობებზე, გარდა უწვადი მასალებისაგან დამზადებული სამრეწველო საწარმოების შენობა ნაგებობებისა. მინიმალური მანძილი ვერტიკალში გხ-ის სადენის მაქსიმალური ჩაღუნვის ისრიდან შენობამდე და ნაგებობამდე უნდა იყოს არანაკლებ 4 მეტრი (ПУЕ პ. 2.5.114).

4. აკრძალულია ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან 110კვ–ის ანძასთან მისასვლელი გზების ლიკვიდაცია ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის) (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება. მუხლი 4, პუნქტი ე)

5. სეგხ–ის დაზიანების ან უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, ხაზის დაცვის ზონაში (20 მეტრი განაპირა სადენიდან ორივე მხარეს). ყველა სახის სამუშაო წერილობით შეთანხმებული უნდა იყოს სს ,,თელასის" შესაბამის სამსახურთან.

(საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება. მუხლი 3, პუნქტი ა.ა.გ. და მუხლი 4 პუნქტი 2).

სს ,,თელასი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.

სს „თელასის“ გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსის მ.შ. ა. სიხარულიძე
ტელ.2 77 99 99 1(7924)